პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 20 ნოემბერი, 1949 წ. № 230 (8533). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ არტილერიის დღეს.

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა არტილერიას!

დიდება ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მძლავრი საბჭოთა არტილერიის შემქმნელს—დიდ სტალინს!

მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანა

ქარხნის დირექტორს ამხანაგ ლიხაჩოვს
მთავარ ინჟინერს ამხანაგ კრილოვს
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგს ამხანაგ კოვალიოვს
ქარხკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ხლისტოვს
საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგს ამხანაგ ზავიალოვას

ვულოცავ მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს მოსკოვის ავტოქარხნის 25 წლისთავს და ლენინის ორდენით ქარხნის დაჯილდოებას.

საბჭოთა საავტომობილო მრეწველობის პირმშომ — მოსკოვის სტალინის სახელობის ქარხანამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი სამშობლოს საავტომობილო მრეწველობის განვითარებაში და ავტომშენებელთა ბოლშევიკური კადრების აღზრდაში.

ომისშემდგომ წლებში ქარხნის კოლექტივმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია და მოწინავე ტექნიკის დანერგვის საფუძველზე დაამთავრა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ავტომობილთა ახალი ტიპების მასობრივი წარმოების ათვისება.

გისურვებთ, ამხანაგებო, ახალ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საავტომობილო მშენებლობის ტექნიკისა და მისი შემდგომი განვითარების დარგში.

ი. სტალინი

ბრძანება

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1949 წ. 20 ნოემბერი № 109 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო არტილერისტებო და საარტილერიო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო, მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ არტილერიის დღეს და აღნიშნავენ საბჭოთა არტილერისტებისა და საარტილერიო მრეწველობის მუშაკების მიერ იმ ამოცანების შესრულებაში მიღწეულ წარმატებებს, რომლებიც დაგვისახა ჩვენმა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა **სტალინმა.**

მოგესალმებით და მოგილოცავთ დღესასწაულს — არტილერიის დღეს.

ვუსურვებ შეიარაღებული ძალების არტილერიის მთელ პირად შემადგენლობას და საარტილერიო მრეწველობის ყველა მუშაკს შემდგომ წარმატებებს საბჭოთა არტილერიის განვითარებისა და მისი საბრძოლო ძლიერების განმტკიცების საქმეში.

არტილერიის დღის აღსანიშნავად — **ვბრძანებ:**

დღეს, 1949 წლის 20 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში—მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ხაბაროვსკში, ნოვოსიბირსკში, სვერდლოვსკში, გორკში, მოლოტოვსა და ტულაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა არტილერიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მძლავრი საბჭოთა არტილერიის შემქმნელს—დიდ **სტალინს!**

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა საავტომობილო მშენებლობის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის და 25 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნას სსრ კავშირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანა **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წ. 19 ნოემბერი.

სტალინური არტილერიის დღესასწაული

დღეს საბჭოთა ქვეყნის ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ არტილერიის დღეს და აღნიშნავენ არტილერისტებისა და საარტილერიო მრეწველობის მუშაკთა წარმატებებს ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებაში.

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს თავისი არტილერიით, გამუდმებით ზრუნავს მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. ჩვენმა არტილერიამ დიდი ხანია დაიკავა და მტკიცედ ინარჩუნებს პირველ ადგილს მთელ მსოფლიოში. რუსული არტილერია ძველთაგანვე სახელგანთქმული იყო თავისი შესანიშნავი საბრძოლო თვისებებით. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არტილერიის ნამდვილი განვითარება მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაიწყო. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შექმნა მოწინავე საარტილერიო მრეწველობა, აღზარდა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, კონსტრუქტორთა და არტილერიის მეცნიერ მუშაკთა შესანიშნავი კადრები, რომლებმაც საბჭოთა არმიას მისცეს პირველხარისხოვანი საარტილერიო ტექნიკა. ამხანაგი სტალინი პირადად ზრუნავდა და ზრუნავს საბჭოთა არტილერიის განვითარებისათვის, ჩვენი საარტილერიო კადრების მომზადებისა და აღზრდისათვის, მათი საბრძოლო გაწვრთნილობის სრულყოფისათვის.

საბჭოთა არტილერისტებმა კარგი საბრძოლო წრთობა მიიღეს სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც გარეშე მტრებისა და შინაური კონტრრევოლუციისაგან იცავდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენმა არტილერისტებმა მაღალი საბრძოლო ოსტატობა გამოავლინეს იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლებში ხასანის ტბასთან და მდინარე ხალხინ-გოლთან და თეთრფინელების ძლიერ გამაგრებული „მანერჰეიმის ხაზის“ გადაგურების დროს 1939-1940 წლებში. მაგრამ ჩვენი არტილერისტებისათვის, ისევე როგორც მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალებისა და საბჭოთა ხალხისათვის, ყველაზე მკაცრი გამოცდა იყო დიდი სამამული ომი. ამ ომმა ცხადყო ჩვენი არტილერიის უპირატესობა გერმანელთა არტილერიის წინაშე. ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ საბჭოთა არტილერიის სარდლობა, თვითეული საარტილერიო შენაერთის სარდლობა მოქმედებდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სამხედრო მეცნიერების—გამარჯვების სტალინური მეცნიერების საფუძველზე.

დიდია სტალინური არტილერიის დამსახურება ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში. ჩვენმა არტილერისტებმა ომის პირველ თვეებშივე მძლავრი, გამანადგურებელი ცეცხლით მტერს აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს. ჩვენი საარტილერიო ტექნიკის ძლიერება, საბჭოთა არტილერისტებისა და ნაღმმტყორცნელების პატრიოტიზმი, მხედრული მამაცობა და ოსტატობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა სტალინგრადთან გამართულ ბრძოლებში. გმირი ქალაქის კედლებთან 1942 წლის 19 ნოემბერს ათასობით ქვემეხების გრიალმა მთელ მსოფლიოს აუწყა საბჭოთა ჯარების გრანდიოზული კონტრშეტევის დაწყება, საბჭოთა ქვეყნის მიწა-წყლიდან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მასობრივად განდევნის დაწყება. სტალინგრადის ისტორიულ ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა ცხადყვეს სტალინური სტრატეგიის ძალა და სიდიადე.

ჯერ კიდევ ომის წლებში ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი არტილერიის მოქმედებას. „არტილერია იყო ის ძალა,—ნათქვამია უმაღლესი მთავარსარდლის 1944 წლის 19 ნოემბრის ბრძანებაში, — რომელმაც უზრუნველყო წითელი არმიის მიერ გერმანელთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან და ვორონეჟთან, კურსკთან და ბელგოროდთან, ხარკოვთან და კიევთან, ვიტებსკთან და ბობრუისკთან, ლენინგრადთან და მინსკთან, იასასთან და კიშინიოვთან.

თავისი გამანადგურებელი ცეცხლით არტილერია წარმატებით უკაფავდა გზას ქვეითს ჯარსა და ტანკებს სამამულო ომის უდიდეს ბრძოლებში, რის შედეგადაც მტერი განდევნილ იქნა ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან“.

სხვა სახეობის ჯარებთან მჭიდრო თანამოქმედებით ჩვენმა არტილერიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა დიდი სამამულო ომის დამამთავრებელ ეტაპზე — ბერლინის ოპერაციაში. ამ უკანასკნელ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 41 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. ჩვენი არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლით ნაცარტუტად იქცა მტრის ყველა სიმაგრე, საბჭოთა ჯარებმა დაამსხვრიეს ფაშისტთა სამხედრო მანქანა და გამარჯვების დროშა ააფრიალეს ბერლინში.

მტერზე ისტორიული გამარჯვების შემდეგ, ჩვენი არტილერია კიდევ უფრო განვითარდა, სრულყოფილი გახდა. საბჭოთა არტილერიის, ისე როგორც ყველა შეიარაღებული ძალების, განუხრელ განვითარებაში ჩვენი ხალხი ხედავს თავისი მშვიდობიანი შრომის საიმედო გარანტიას.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი წარმატებებით აღნიშნავენ სტალინური არტილერიის დღესასწაულს. რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ უკვე დაამთავრა და ამთავრებს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს მოიყვანეს ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, ხორბლის, სიმინდის, თამბაქოს, ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი. გამრავლდა სტახანოველთა, ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგები.

მხნედ, მტკიცე რწმენით შეჰყურებენ მომავალს საბჭოთა ადამიანები. მათ ღრმად სწამთ ლენინ-სტალინის დიადი საქმის სიმართლე და უძლეველობა. ჩვენმა ხალხმა იცის, რომ მისი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე ფხიზლად დგანან საბჭოთა ქვეყნის მძლავრი შეიარაღებული ძალები, რომლებიც საიმედოდ უზრუნველყოფენ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფო ინტერესების დაცვას. საბჭოთა ადამიანებს სწამთ, რომ მათი შეიარაღებული ძალები, რომლებიც მშვიდობის ბურჯს წარმოადგენენ, შემდგომშიც ღირსეულად მოიხდიან თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

დღესასწაულობს რა სტალინური არტილერიის დღეს, ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მამაც საბჭოთა არტილერისტებს, თავის სახელოვან მეომრებს უსურვებს ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა არტილერიას!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მძლავრი საბჭოთა არტილერიის შემქმნელს, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს—დიდ სტალინს!

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

1949 წლის ოქტომბერში მრეწველობის მუშაობის შედეგების შესახებ

ოქტომბერში რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა 100 პროცენტით შეასრულა.

საკავშირო მრეწველობის ხაზით გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობის ხაზით—98 პროცენტით.

მიმდინარე წლის 10 თვეში მთელი მრეწველობის პროდუქცია, შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 11 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროთა შორის საერთო პროდუქციის გამოშვების ოქტომბრის გეგმა ვერ შეასრულეს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ (გეგმა შესრულებულია 83 პროცენტით) და კვების მრეწველობის სამინისტრომ (92 პროცენტი). საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულეს, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკეთობის გამოშვება გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით ვერ უზრუნველყვეს: მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ—ქეჩისა და ფეხსაცმლისა; სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ—ნათალი ფანერისა, სკამებისა, აგრეთვე ვერ შეასრულა შეშის დამზადებისა და გამოტანის გეგმა; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — საწოლებისა, სამშენებლო ლურსმნისა, საპნისა რესპუბლიკური მრეწველობის ხაზით და აგურის, კრამიტის, ავეჯის, საწოლების, ზედა ტრიკოტაჟის, ნალისა და ლურსმნისა რაიონული მრეწველობის ხაზით.

სარეწაო კოოპერაციამ შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ოქტომბრის გეგმა, მაგრამ სარეწაო კოოპერაციის სამმართველომ ვერ უზრუნველყო კრამიტის, ლურსმნის, ფეხსაცმლის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, წინდის ნაკეთობის, ზედა ტრიკოტაჟის, მცენარეული ზეთის, ხოლო საქართველოს კოოპინკავშირმა — კირის, დახერხილი ხე-ტყის მასალის, ლურსმნის, საწოლების, ფეხსაცმლის, ქსოვილების, ზედა ტრიკოტაჟის გამოშვების თვიური გეგმის შესრულება.

ოქტომბერში მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა წარმოების თვიური გეგმის შესრულება შეადგენს (პროცენტობით):

სასაქონლო მარგანეცის მადანი — 100,4, ქვანახშირი—89, ნავთი — 95, ელექტროენერგია—91, საშახტო ელექტრომავლები—118, ტრანსპორტერები (რტუ-30)—100, ლითონსაჭრელი დაზგები—105, საფეიქრო დაზგები — 155, ცემენტი—100,5, შიფერი—101, აგური—97, კრამიტი—76, კირი—110, ასანთი—103, დაწებებული ფანერი — 141, დახერხილი ხე-ტყის მასალა (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო, სარეწაო კოოპერაცია)—94, სამასალე მერქნის გამოზიდვა (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის და სატყეო მეურნეობის სამინისტროები, სარეწაო კოოპერაცია)—143, ქაღალდი — 108, შალის ქსოვილები—103, აბრეშუმის ქსოვილები—99,6, გრეჯა—106, წინდის ნაკეთობანი—95, სათეთრეულე ტრიკოტაჟი—107, ზედა ტრიკოტაჟი — 61, ფეხსაცმელი—77, რბილი ტყავი — 92, საწოლები—54, პიანინოები — 102, ერბო-ყარაქი—99, მცენარეული ზეთი — 101, სუფრის მარგარინი — 226, ხორცი—81, კონსერვები — 106, მაკარონის ნაკეთობანი—108, ბაიხაო ჩაი (პირველადი დამუშავება)—89, ყურძნის ღვინო—82, პაპიროსი — 117, ფხვნილი შაქარი—100.1, საპონი — 93.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა უმეტესობამ მიაღწია ოქტომბრის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, როგორც საერთო პროდუქციის, ისე ნაკეთობათა მიცემული ნომენკლატურის ხაზით.

ჩამორჩენილ საწარმოებში საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმის შესრულება შეადგენს (პროცენტობით):

საკავშირო მრეწველობის ხაზით — შაქრის ქარხანა—99,2, ტრესტი „საქნავთი“—95, ტრესტი „ჭიათურმარგანეცი“—93, ტრესტი „საქნავთმრეწვმასალები“—92, ხრამჰესი—89, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური—89, შახტსამმართველო „ახალციხექვანახშირი“—87, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა—80, რიონჰესი—79, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა—70, ტრესტი „ტყვარჩელქვანახშირი“—64;

რესპუბლიკური მრეწველობის ხაზით — № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკა—97, „სამტრესტი“—94, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა—85, ტრესტი „საქართველოს ლუდი და ლიმონათი“—85, აცხეთის ასანთის ფაბრიკა—83, ტრესტი „საქხორცმრეწვი“ — 80, მარელისის ავეჯის ფაბრიკა—78, ტრესტი „საქართველოს ჩაი“—76, ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა—63, თბილისის მაცივარკომბინატი—54, № 1 ტყავის ქარხანა—53.

საერთო პროდუქციის გამოშვების ოქტომბრის გეგმა შეასრულეს, მაგრამ ვერ უზრუნველყვეს დავალების შესრულება ნაკეთობათა ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დარგში: კიროვის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ, პლასტმასის ქარხანამ, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟმა“, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, „საქპურტრესტმა“, „საქმთავარკონდიტერმა“, ტრესტმა „საქყველერბოკარაქმრეწვმა“, თბილისისა და ბორჯომის ავეჯის ფაბრიკებმა, თბილისისა და ბათუმის ფანერის ქარხნებმა, საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტმა, გურჯაანის აგურის ქარხანამ, სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევმა ფაბრიკამ, № 3 ტყავის ქარხანამ, ქუთაისისა და სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატებმა, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკამ, თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ, №№ 4, 5, 6 და 7 სამკერვალო ფაბრიკებმა, კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ, ლითონკონსტრუქციების ქარხანამ.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

შეუნელებლივ ვზარდოთ ქვანახშირის ამოღება

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მუშაობა უკანასკნელ კვირაში

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა ამ ბოლო დროს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მუშობა გააუმჯობესა. უკანასკნელ 5-6 დღეში კომბინატი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის მოპოვების გეგმებს.

წინ არიან: ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტი, რომელსაც ნოემბრის დასაწყისიდან გეგმა შესრულებული აქვს 110,6 პროცენტით, იმავე ტრესტის გელათის შახტი (თვის დასაწყისიდან გეგმა შესრულებული აქვს 121,4 პროცენტით) და ახალციხის შახტსამმართველოს ორივე შახტი, რომლებიც ნოემბერში აგრეთვე გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის და მოლოტოვის სახელობის შახტებმა უკანასკნელ დღეებში თუმცა გაადიდეს ქვანახშირის მოპოვება, მაგრამ სადღეღამისო გეგმებინ შესრულებას მაინც ვერ მიაღწიეს.

ასეთივე მდგომარეობაა ტყვარჩელში სტალინის სახელობისა და ბერიას სახელობის შახტებში. ნოემბრის ცალკეულ დღეებში ბერიას სახელობის შახტმა სადღეღამისო დავალება გადამეტებით შეასრულა. მაგალითად, 17 ნოემბერს ამ შახტის კოლექტივმა გეგმა 100 პროცენტით გაანაღდა, ხოლო მეორე დღეს, 18 ნოემბერს სტალინის სახელობის შახტმა პირველად ამ თვეში გადააჭარბა სადღეღამისო გეგმას.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ შახტებს შეუძლიათ და ვალდებულიც არიან მტკიცედ შეინარჩუნონ და განავითარონ პირველი წარმატებანი, მიაღწიონ მყარ მდგომარეობას სადღეღამისო გეგმების შესრულებაში.

ნოემბრის ბოლომდე რამდენიმე დღე დარჩა. საქართველოს მეშახტეთა ღირსების საქმეა წარმატებით შეასრულონ ნოემბერში ქვანახშირის მოპოვების გეგმა, მოემზადონ 1949 წლის დამამთავრებელ თვეში კიდევ მეტად პასუხსაგები მუშაობისათვის.

ყველა მუშა ჩავებათ პირველხარისხოვანი პროდუქციისათვის ბრძოლაში

იზრდება საუკეთესო ქსოვილების ოსტატთა რიგები

პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის ბრძოლაში საამაყო მაჩვენებლები მოიპოვა თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკაში მომუშავე მქსოველთა იმ ბრიგადამ, რომელსაც ნ. ხარიტონაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 99,2 პროცენტამდე აიყვანა, რისთვისაც მას სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის“ საპატიო წოდება მიანიჭეს.

ბრიგადა კვლავ განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას. ოქტომბერში მან 98,6 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა და ამასთან დანაზოგი ნართიდან მოქსოვა 326 მეტრი ქსოვილი.

ამ წარმატების მოპოვება ნ. ხარიტონაშვილის ბრიგადამ შრომის სწორი ორგანიზაციითა და ბრიგადის თვითეული წევრის კვალიფიკაციის ამაღლების შედეგად შეძლო. ბრიგადა კარგად უვლის დაზგა-დანადგარებს, სისტემატურად ახორციელებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რითაც თავიდან იცილებს ტექნიკური მიზეზით საქსოვი დაზგების მოცდენას.

სამუშაო ადგილზე სრული წესრიგი და სისუფთავეა. ბრიგადირს წესად აქვს შემოღებული მუშაობის დაწყებამდე მანქანების მდგომარეობის შემოწმება. შესვენების დროს ბრიგადის წევრები იკრიბებიან და ეწყობა აზრთა გაცვლა-გამოცვლა შემჩნეული დეფექტების აღმოსაფხვრელად.

მაუდ-კამოლის ფაბრიკის მთელი კოლექტივი თავდადებულად იბრძვის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოწყობილობის ნაყოფიერების ზრდისათვის, ნედლეულისა და დამხმარე მასალების დაზოგვისათვის. ფაბრიკაში ამჟამად 12 ბრიგადას მიკუთვნებული აქვს „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის“ წოდება. ასეთები არიან გ. ახალკაცის, გ. ხიტუროძის, კ. ანდღულაძის, ს. ლეჟავას, ბ. ონიანისა და სხვა ბრიგადები.

ბ. ჩიქვინიძე

დაწინაურდნენ მკერავთა ახალი ბრიგადები

პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში ერთმანეთს ეჯიბრება 21 ბრიგადა. ერთ-ერთი პირველი ჩაება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ის ბრიგადა, რომელსაც ა. აბრამიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადის მიერ გამოშვებული პროდუქციის 90 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ამავე დროს ეს ბრიგადა საწარმოო გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.

ბრიგადაში, რომელსაც თ. დარაბეგოვა ხელმძღვანელობს, 14 მკერავია. ამ ბრიგადამ გეგმით 75 პროცენტი პირველხარისხოვანი პროდუქცია უნდა გამოუშვას, ფაქტიურად კი მთლიანად პირველხარისხოვან პროდუქციას უშვებს. ბრიგადაში ყველა მუშა დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

ასევე დაწინაურდა თ. ბუხრაძის ბრიგადა. მესამე კვარტალში ამ ბრიგადის მიერ გამოშვებული პირველხარისხოვანი პროდუქცია 97 პროცენტს აღწევდა.

მკერავები საფუძვლიანად არიან დაუფლებულნი თავიანთ პროფესიებს. მათ შორის გამოირჩევიან ქ. უოროტაძე, თ. ჩიტორელიძე, კ. ბელიაევა, თ. ბერუაშვილი, რომლებიც გეგმებსაც თვალსაჩინო გადაჭარბებით ასრულებენ და საუკეთესო ხარისხის პროდუქციასაც იძლევიან.

ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის ათ თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 6,6 პროცენტით გაადიდა სამკერვალო ნაწარმის გამოშვება.

ე. ჯაფარიძე

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ

ფიზკულტურა და სპორტი უყვართ წითელწყაროელ ახალგაზრდებს. მათ სურთ იყვნენ საუკეთესო ფეხბურთელები, მოჭიდავეები, უყვართ ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, ცხენოსნობა.

მაგრამ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაჩაღებისათვის რაიონში შექმნილი არ არის სათანადო პირობები. პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევენ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა წითელწყაროს რაიონულ კომიტეტს. კომიტეტის შემადგენლობაში არიან ისეთი ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ ფიზკულტურული მუშაობა კარგად დააყენონ, მაგრამ მათ არავინ სთხოვს პასუხს იმისათვის, რომ ეს საქმე თვითდინებას მიანდეს.

წელს რაისაბჭოს აღმასკომს თავის სხდომებზე ერთხელაც არ განუხილავს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხები. 1949 წლის 8 აპრილს რაისაბჭოს აღმასკომმა მხოლოდ დაამტკიცა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის შემადგენლობა. ეს იყო და ეს. შემდეგ არავის გახსენებია შეემოწმებინა კომიტეტის მუშაობა.

კომკავშირის წითელწყაროს რაიკომი მართალია, იხილავს ფიზკულტურული მუშაობის საკითხებს, სახავს ღონისძიებებს, მაგრამ არ ამოწმებს მათ შესრულებას.

სკოლებში ახალგაზრდობა ნაკლებად არის ჩაბმული სპორტულ სექციებსა და წრეებში. ნაკლები ყურადღება ექცევა ტანვარჯიშს, მძლეოსნობისა და სხვა სახეების განვითარებას. სოფელ მაჩხაანის, ზემო ქედისა და წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლებში არ შეუსრულებიათ ნიშნოსანთა მომზადების გეგმები. საერთოდ რაიონის სკოლების უმრავლესობაში წესრიგზე არ არის სასპორტო ოთახები და მოედნები, ბევრგან კი სასპორტო ოთახები სულაც არა აქვთ.

წითელწყაროელებმა დღემდე ვერ შეძლეს რაიონის ცენტრში ჰქონოდათ სასპორტო დარბაზი და კეთილმოწყობილი სტადიონი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გეგმით წითელწყაროელებს 15 ოქტომბრამდე უნდა მოემზადებინათ საზოგადოებრივი ინსტრუქტორები: ფიზკულტურის კოლექტივების თავმჯდომარეები 10 კაცი, ტანვარჯიშის — 10, ფრენბურთის — 10, ქართული ჭიდაობის — 10, საერთო მომზადების სექციების — 15 ინსტრუქტორი. ეს დავალება არ შეუსრულებიათ.

საჭიროა დაეხმაროთ წითელწყაროელ ახალგაზრდებს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაფაჩრით გარდაქმნის საქმეში. ეს საკითხი პარტიის წითელწყაროს რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის

შარშან ქ. ქუთაისისა და ქუთაისის რაიონის ფიზკულტურული აქტივის მიმართვის პასუხად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა იკისრა კონკრეტული ვალდებულებანი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაცია, რომელმაც პარტიული ორგანიზაციის, დეკანატისა და პროფორგანიზაციის დახმარებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობაში.

ძირეულმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა. სტუდენტები მასობრივად გაერთიანდნენ სასპორტო სექციებში. ამჟამად უნივერსიტეტის სასპორტო კლუბთან არსებობს 17 სხვადასხვა სახის სექცია, რომლებშიც 1.662 სტუდენტია გაერთიანებული. ნაციონალური სპორტის განვითარების მიზნით ჩამოყალიბდა ხევსურული ფარიკაობისა და ჭიდაობის სექციები, აგრეთვე ლელობურთის გუნდები. წელსვე შეიქმნა ავტომოყვარულთა სექცია.

მასობრივ-ფიზკულტურული და სასწავლო-სასპორტო მუშაობის დარგში საჭირო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად წელს უნივერსიტეტში მომზადდა მშთ I საფეხურის 1.097 ნიშნოსანი და II საფეხურის 375 ნიშნოსანი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასპორტო დარბაზებისა და მოედნების მოწყობას. ფიზკულტურულმა კოლექტივებმა მოაწყეს სიმძიმეების აწევის, კრივის, კლასიკური და ქართული ჭიდაობის, ფარიკაობის, მძლეოსნობის, ფრენბურთის მოედნები, წინააღმდეგობათა ზოლი, თბილი შხაპები, საჭადრაკო ოთახი და სხვ. წელს მოეწყო აგერთვე სატანვარჯიშო დარბაზი.

წელს უნივერსიტეტის ფიზკულტურელებმა განახორციელეს 18 სპორტული ღონისძიება, რომლებშიც 4.620 კაცი მონაწილეობდა. შეჯიბრებებმა კალათბურთში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეთა აწევასა და სპორტის სხვა სახეებში სტუდენტ ფიზკულტურელთა მაღალი კლასი გამოავლინა. წელს კალათბურთში თბილისის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში უნივერსიტეტის ქალთა გუნდმა, რომელსაც შ. დიასამიძე ხელმძღვანელობს, პირველი ადგილი დაიკავა.

ამ წარმატებათა მიუხედავად, სტუდენტ ფიზკულტურელებს ნაკლოვანებებიც აქვთ. ჯერ კიდევ შესრულებული არ არის სხვადასხვა სახის თანრგოსანთა მომზადების დარგში ნაკისრი ვალდებულება. წელს მომზადებულია მხოლოდ 161 თანრიგოსანი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 420-სა. ყველაფერი რიგზე არაა ფიზკულტურულ კადრებთან მუშაობის მხრივაც: ნაკლები ყურადღება ექცევა სხვადასხვა სახის სპორტის საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მომზადებას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული დარბაზებისა და მოედნების მოწყობის დარგში გაწეული დიდი მუშაობის მიუხედავად, არსებული სასპორტო ბაზა მთლიანად ვერ აკმაყოფილებს სტუდენტ ფიზკულტურელთა მზარდ მოთხოვნილებას.

ყველა ამ ნაკლის აღმოფხვრისა და ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად შესრულებისათვის ბრძოლა უნივერსიტეტის სტუდენტ ფიზკულტურელთა ღირსების საქმეა.

ს. პავლიაშვილი

საკრებულის ცნობებიდან

16 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იუგოსლავიის საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საბჭოთა მთავრობის მიერ დავალებული აქვს განუცხადოს იუგოსლავიის მთავრობას შემდეგი.

სამინისტროს აქვს სარწმუნო ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ სსრ კავშირში იუგოსლავიის საელჩოს საქმეთა რწმუნებული ლაზო ლატინოვიჩი ბოროტად იყენებს თავის ოფიციალურ მდგომარეობას მოსკოვში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეწევა ჯაშუშურ და ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია აცნობოს იუგოსლავიის მთავრობას, რომ სსრ კავშირში იუგოსლავიის დიპლომატიურ წარმომადგენლად ლაზო ლატინოვიჩის შემდგომი ყოფნა შეუძლებელია“.

ბელგრადიდან საკრებულმა მიიღო ცნობები, რომ ამ დღეებში იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა საელჩოს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც საბჭოთა კონსულს ზაგრებში ი. ვ. ვლადიმიროვს და საბჭოთა სამხედრო ატაშის თანაშემწეს ი. ი. ზენკევიჩს ბრალად სდებენ, თითქოს ისინი იუგოსლავიის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწევიან, და რომელიც შეიცავს იუგოსლავიიდან მათი წასვლის მოთხოვნას.

საბჭოთა-საელჩო [illegible] ნოტაში, რომელშიც [illegible] ი. ვ. [illegible] მიროვისა და ი. ი. ზენკევიჩის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა სრული უსაფუძვლობა და ის გარემოება, რომ საელჩო იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტას აფასებს, როგორც საბჭოთა კავშირის მიმართ იუგოსლავიის მთავრობის მტრული პოლიტიკის ახალ გამოვლინებას, და რომ პასუხისმგებლობა ამ ახალი ანტისაბჭოთა აქტისათვის დაეკისრება იუგოსლავიის მთავრობას.

საკდესმა აგრეთვე შეიტყო, რომ იუგოსლავიის ინფორმაციის დირექციაში დაიბარეს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს წარმომადგენელი ვ. ვ. კირსანოვი, რომელსაც წაუყენეს ბრალდება, თითქოს იგი იუგოსლავიაში ეწეოდა „მტრულ საქმიანობას“, და წინადადება მისცეს დასტოვოს იუგოსლავიის ტერიტორია.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ბელგრადში ამბ. შნიუკოვმა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განუცხადა პროტესტი ვ. ვ. კირსანოვის მიმართ ცილისმწამებლურ გამოხდომათა წინააღმდეგ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ი. ვ. ვლადიმიროვს, ი. ი. ზენკევიჩს და ვ. ვ. კირსანოვს მითითება მისცა გამოემგზავრონ სსრ კავშირში.

სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის აღბანეთის საზოგადოების დელეგაციის ყოფნა საქართველოში

ოთხი დღის განმავლობაში საქართველოში სტუმრად იყო სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის აღბანეთის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების მოწვევით.

საქართველოში ყოფნისას დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს აღბანეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრი კარემან იული, გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნავ და ისტორიულ ადგილებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას.

დელეგატებმა დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი, ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, გაეცნენ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებას თბილისის ქალთა 35-ე საშუალო სკოლაში, იყვნენ თბილისის სართაგ-სატრიკოტაჟო კომბინატში, სადაც დაათვალიერეს კულტურის სახლი და დაესწრნენ კომბინატის მუშების მხატვრული თვითმოქმედების საღამოს.

აღბანეთის დელეგაცია ეწვია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ესაუბრა უნივერსიტეტის რექტორს ამბ. ნ. ნ. კეცხოველს.

დელეგაცია გაემგზავრა გორში და დაათვალიერა სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა. სტუმრები გაეცნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში.

დელეგაციის ხელმძღვანელი აღბანეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრი კარემან იული ეწვია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და ესაუბრა განათლების მინისტრის მოადგილეს ამბ. მ. ბურჭულაძეს. აღბანეთის მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი შეფქეთ მუსარაი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შეხვდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამბ. ს. ჩიქოვანს და მთელ რიგ ქართველ მწერლებს.

პროფესორმა სოტირ ანდელომ ინახულა აკადემიკოს ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. დელეგატები იყვნენ აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

დელეგაცია დაესწრო რუსთაველის სახელობის თეატრის, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებს, ნახა თბილისის კინოსტუდიის ფილმები.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის აღბანეთის საზოგადოების დელეგაციის პატივსაცემად გამართა სადილი, რომელზეც იყვნენ საქართველოს კულტურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი.

17 ნოემბერს დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. საღამოს სტუმრები გააცილეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ამბ. ვ. ა. გოგუაძემ, თავმჯდომარის მოადგილემ ამბ. ე. ე. გეგეჭკორმა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სხვა პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა. (საქდესი).

ყაზანის უნივერსიტეტის 145 წლისთავი

ყაზანი, 18 ნოემბერი. (საკდესი). 145 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაარსდა ყაზანის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამასთან დაკავშირებით ამ ეწყობა „საფაკულტეტო კითხვა“. ახალგაზრდობა ეცნობა ყაზანის მათემატიკის, ქიმიისა და სხვა სამეცნიერო სკოლების მეცნიერულ ნაშრომებს. ამ სკოლებმა უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

ყაზანის უნივერსიტეტში სწავლობდა და რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო კაცობრიობის გენიამ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. ყოფილი იურიდიული ფაკულტეტის აღდგენილ აუდიტორიაში, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე ლექციებს ისმენდა, მოწყობილია მუზეუმი. მას ათასობით მშრომელი ათვალიერებს.

ახლა უნივერსიტეტში სწავლობს 23 ეროვნების ორი ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. 43 კათედრას ემსახურება 250-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი.

ყაზანის უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები — ა. მ. ბუტლეროვის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი და ნ. გ. ჩებოტარიოვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტი, ორი ასტრონომიული ობსერვატორია, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელშიც არის ორ მილიონზე მეტი ტომი. უნივერსიტეტს აქვს ეთნოგრაფიული, ზოოლოგიური და მინერალოგიური მუზეუმები.

მძლავრი საბჭოთა არტილერია

სტალინური არტილერიის დღესასწაული ჩვენი არტილერისტების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დათვალიერების დღეა. ჩვენი არტილერისტები მოწოდებული არიან მთელი საბჭოთა არმიის მეომრებთან ერთად ფხიზლად დაიცვან ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები.

ამხანაგმა სტალინმა ჩვენს არტილერიას უწოდა მთავარი დამრტყმელი ძალა საბჭოთა არმიის ხელში. ეს მაღალი შეფასება მან მოიპოვა მტრის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლებში. უხამბადა რა თავის მძლავრ დარტყმას ქვეითი ჯარის, კავალერიის, ტანკებისა და ავიაციის საბრძოლო მოქმედებას, საბჭოთა არტილერიამ მტრის ბევრი ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა მოსპო. წარსული ომის ბრძოლებში მან გვიჩვენა თავისი უპირატესობა მოწინააღმდეგის არტილერიის წინაშე.

საბჭოთა არტილერია თავის შესანიშნავ წარმატებებს, პირველ რიგში, უნდა უმადლოდეს მტერზე ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს — გენიალურ მხედართმთავარს ი. ბ. სტალინს. ამუშავებდა რა ახალი სამხედრო მეცნიერების საკითხებს, ამხანაგი სტალინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არტილერიას, რომელსაც ყველა სახმელეთო გვარეობის ჯარებიდან ყველაზე მეტი სიმძლავრის ცეცხლი გააჩნია. მან შეიმუშავა მწყობრი მეცნიერება არტილერიის ორგანიზაციის, შეიარაღებისა და საბრძოლო გამოყენების შესახებ. ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით საბჭოთა არტილერიამ განვითარების დიდი, სახელოვანი გზა განვლო. იგი გაიზარდა, განმტკიცდა და გახდა ჯარების უძლიერესი გვარეობა, რომლის გამანადგურებელი დარტყმა არაერთგზის უგემნიათ ჩვენი სამშობლოს მტრებს.

საბჭოთა არტილერია წითელ არმიასთან ერთად ჩაისახა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში. ამხანაგი სტალინი, რომელიც ხელმძღვანელობდა ყველა ძირითად ოპერაციას სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ბეჯითად ადევნებდა თვალყურს საბჭოთა არტილერიის ზრდას, მუდმივ დახმარებას უწევდა მას და ცდილობდა შეევსო მომზადებული კადრებით და საჭურვლითა და საომარი მასალით უზრუნველეყო იგი.

სამოქალაქო ომის წლებში ჩვენი არტილერია მცირერიცხოვანი იყო და არ გააჩნდა ისეთი მატერიალური ნაწილი, რომელიც თანამედროვე ომის ყველა მოთხოვნას შეეფერებოდა. ნამდვილ აყვავებას მან მიაღწია სტალინური ხუთწლედების მანძილზე, როცა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა ამავე დროს შეგვექმნა საჭურვლის წარმოების მძლავრი ბაზა. დიდი სამამულო ომის წინ საბჭოთა არტილერიას, ისევე როგორც ყველა სხვა გვარეობის ჯარებს, ჰყავდა ჩინებულად მომზადებული ჯარისკაცები, სერჟანტები, ოფიცრები და გენერლები.

უკვე იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში ხასანის ტბასა და მდინარე ხალხინ-გოლზე, აგრეთვე თეთრფინელთა წინააღმდეგ კარელიის ყელზე, საბჭოთა არტილერიამ მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. მაგრამ მისი საბრძოლო ძლიერება მთელი სისრულით 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამოჩნდა.

ომი, რომელიც ფაშისტურმა გერმანიამ ჩვენს ქვეყანას თავს მოახვია, სოციალისტური სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალებისათვის მკაცრი გამოცდა გახდა. მან მოითხოვა ჩვენი ხალხის ყველა სულიერი და მატერიალური ძალის დაძაბვა, საბჭოთა არმიის მეომრების უდიდესი გამძლეობა, გმირობა, საბრძოლო მამაცობა და ოსტატობა. ომში გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც მოწინავე სტალინური სამხედრო მეცნიერების საფუძველზე მოქმედებდნენ.

საბჭოთა არტილერიამ დიდ სამამულო ომში მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანები შეასრულა.

მოსკოვისათვის ისტორიულ ბრძოლაში საბჭოთა არმიის არტილერისტები მტკიცედ იგერიებდნენ გერმანელთა სატანკო დივიზიების დარტყმას და ფუშავდნენ მტრის ცდას — სოლივით შემოჭრილიყო ჩვენი ჯარების განლაგებაში. ასეთივე შეუპოვრობით იცავდნენ ისინი ლენინის ქალაქის მისადგომებს.

საბჭოთა არტილერიამ გამანადგურებელი დარტყმა აგემა მტერს სმოლენსკსა და კიევთან, ოდესასა და სევასტოპოლთან, დონის ველებში, კავკასიონის კალთებზე და სტალინგრადთან.

არტილერიამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიტლერული არმიის სატანკო დივიზიების წინააღმდეგ ბრძოლაში. მტერს ბრძოლაში გამოყავდა დიდძალი ტანკი. მაგრამ მან ვერ შეძლო გადმოელახა საბჭოთა არმიის ტანკსაწინააღმდეგო დაცვა, რომლის მთავარ ძალას არტილერია შეადგენდა. ამ ბრძოლებში არტილერისტებმა გამოიჩინეს უმაგალითო სიმტკიცე, მამაცობა, მიხვედრილობა, იმის უნარი, რომ მტრისათვის დაეშინათ ზუსტი, დამიზნებული ცეცხლი. საბჭოთა არტილერია აღმოჩნდა გერმანელთა ქვეშულ „ვეფხვებზე“, „სამეფო ვეფხვებზე“ და თვითმავალ ქვემეხ „ფერდინანდზე“ უფრო ძლიერი. ჩვენი საზენიტო ქვემეხებით ფაშისტურ ავიაციას მძიმე ზარალი მოუვიდა.

უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენმა მძლავრმა არტილერიამ საბჭოთა არმიის შეტევით ოპერაციებში. საბჭოთა ჯარების ყოველ შეტევას წინ უძღოდა უმაგალითო ძალის საარტილერიო დარტყმა. არტილერისტები ამ დარტყმას უთანხმებდნენ ავიაციის მოქმედებას და ძირებული ცეცხლით ანადგურებდნენ მტრის სიმაგრეებს, გზას უკაფავდნენ ქვეით ჯარს, კავალერიასა და ტანკებს სამაღულო ომის უდიდეს ბრძოლებში.

ათასობით ქვემეხის გრიალით დაიწყო ჩვენი ჯარების შესანიშნავი კონტრშეტევა სტალინგრადთან, რომელიც გერმანელთა არმიის 330-ათასიანი დაჯგუფების გარემოცვითა და მოსპობით დამთავრდა.

„სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სტალინგრადში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ვეღარ შეძლეს წელში გამართულიყვნენ“ (ი. სტალინი). გერმანიის სარდლობის ცდა — 1943 წლის ზაფხულში რევანში აეღო — მისთვის ახალი კატასტროფით დამთავრდა. კურსკის რკალზე ბრძოლაში საბჭოთა არტილერისტებმა საბჭოების ქვეყნის შეიარაღებული ძალების დიდ გამარჯვებათა მატიანეში ახალი სასახელო ფურცლები ჩასწერეს. მათ მოიგერიეს გერმანელთა სატანკო დივიზიების ყველა იერიში და ხელი შეუწყეს გერმანელთა ჯარების დამკვრელ დაჯგუფებათა განადგურებას და ჩვენი ნაწილების წარმატებით წინსვლას დასავლეთისაკენ.

მასირებულმა საარტილერიო ცეცხლმა დახმარება გაუწია საბჭოთა არმიას გადაელახა გერმანელთა ძლიერი სიმაგრეები პერეკოპზე, კარელიის ყელზე, აღმოსავლეთ პრუსიაში და ფრონტის სხვა უბნებზე. ამ ზღუდეებზე გერმანელ ფაშისტთა არმიას უმაგალითო ზარალი მოუვიდა.

ბერლინის ბრძოლაში, რომელიც დიდი სამამულო ომის დამამთავრებელი ეტაპი გახდა, მონაწილეობას იღებდა 41 ათასი ქვემეხი და სხვადასხვა ყალიბის ნაღმსატყორცნი. მასირებული არტილერიის ცეცხლის მთელი ძალა მიმართული იყო იქითკენ, რომ მალე გაგვანადგურებინა ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში.

არტილერისტებმა გაამართლეს საბჭოთა ხალხის, ბოლშევიკური პარტიის, ამხანაგ სტალინის დიდი ნდობა.

„ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა არტილერიამ მიაღწია ბრძოლის ველზე სრულ ბატონობას მტრის არტილერიაზე, რომ მტრის წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა განსაკუთრებული მამაცობისა და გმირობის უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს, ხოლო მეთაურებმა და უფროსებმა გვიჩვენეს ცეცხლის მართვის მაღალი ოსტატობა“ (ი. სტალინი).

სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებისათვის 1.600-ზე მეტი მამაცი მეომარი არტილერისტი მთავრობის უმაღლესი ჯილდოს — საბჭოთა კავშირის გმირის წოდების ღირსი გახდა. მრავალი ასეული ათასი ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი და გენერალი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

დიდი სამამულო ომის დამთავრებას ჩვენი არტილერია, ისე როგორც მთელი საბჭოთა არმია, შეხვდა ყოველმხრივ გაზრდილი და განმტკიცებული. მისი კადრები გამოიწვრთნენ, შეიძინეს თანამედროვე ბრძოლის წარმოების გამოცდილება, ისწავლეს ქვეით ჯართან, კავალერიასთან, ტანკებსა და ავიაციასთან თანამოქმედების ხელოვნება.

მოსკოვის, ლენინგრადის, ურალის, ვოლგისპირეთის, ციმბირის და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებისა და ქალაქების მშრომელებმა, რომლებიც საჭურველს ქმნიდნენ საბჭოთა არმიისათვის, შრომითი გმირობის შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენეს. ჩვენი საარტილერიო მრეწველობა ომის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ამზადებდა 120 ათასამდე ყველა ყალიბის ქვემეხს, ხოლო სანაღმმტყორცნო მრეწველობა 1942-1944 წლების განმავლობაში ყოველწლიურად 100 ათასამდე ნაღმსატყორცნს იძლეოდა. მთელმა ამ დიდძალმა საარტილერიო ტექნიკამ, უნარიან ხელში გადაცემულმა, შესანიშნავი საბრძოლო თვისებანი ცხადყო.

საბჭოთა არტილერიას დიდი დამსახურება მიუძღვის სოციალისტური სამშობლოს წინაშე. არტილერისტების სახელოვანი საგმირო საქმეები, მათი უსაზღვრო მამაცობა და მაღალი სამხედრო ოსტატობა მთელი ჩვენი ხალხის კანონიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ

ᲐᲥᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ!

(ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘ)

რაც მიფიქრია...

— აქა მშვიდობა!
— აქა მშვიდობა!
მე სიმღერაში ბევრჯერ მითქვია.
— აქა მშვიდობა!
ჩემი მამულის
საუკუნეთა წრფელი ფიქრია.

ეს ორი სიტყვა ხალხს დავესესხე,
როგორც სანთელი გულში მინთია
და ჩავაქსოვე მშვიდობის ლექსებს,
რაც მე მაღელვებს, რაც მიფიქრია!

ჩვენში რა უნდა საავდრო ღრუბელს

თბილისშიც ახლა სიმშვიდე სუფევს,
ცაზე ვინ ნახავს საავდრო ღრუბელს.
ღრუბელი მუდამ ომს მომაგონებს —
ღრუბელი მხოლოდ უყვართ ბატონებს...
აბა, თბილისში რა უნდა ღრუბელს?!

დიდიხანია გადაიკარა
და დარი დადგა მშვიდი დროების,
უყვარდა მამულს, კვლავ შეიყვარა
ახლის მეტყველი ხარაჩოები.

თბილისშიც ახლა სიმშვიდე სუფევს,
ცაზე ვინ ნახავს საავდრო ღრუბელს?!

ჩვენ ვგრძნობთ,
სადღაც შორს ცის დასავლთან
ღრუბლის ნაფლეთი მიბობღავს ზანტად—
მკერდგაყღეჯნილი დენთით და სისხლით.
მას უნდა ხალხებს თავზე დაეცეს,
შესაერთებლად ღრუბლებს დაეძებს,
მისი უმწეო ყაშაში ისმის!

ჩვენში ხომ ახლა სიმშვიდე სუფევს,
მოსკოვს რა უნდა საავდრო ღრუბელს?!

მოსკოვს რა უნდა საავდრო ღრუბელს,
როცა აქ არის მშვიდობის ბუდე —
თავისუფლების თავშესაფარი.
როცა აქ შრომის ჰანგი გუგუნებს,
როცა აქ სჭედავს მშვიდობას ურყევს,
მშვიდობის დიდი მთავარსარდალი.

მოსკოვში ახლა სიმშვიდე სუფევს,
აბა, მოსკოვში რა უნდა ღრუბელს?!

ახლა სვანეთი სადღაც შორს არის

ახლა სვანეთი სადღაც შორს არი —
ქვეყნიერების ერთი წერტილი,
პირქუში, მაგრამ გასაოცარი,
მრისხანე, მაგრამ გულით კეთილი.

ის მუდამ ტკბილად საუბრობს ცასთან
და ხელით წვდება თითქმის პლანეტებს.
ცისა და ქვეყნის უსაზღვრო საზღვარს
კავკასიონის მხრებით აერთებს.

უსაქართველოდ და უმშვიდობოდ
მჯერა, სვანეთიც ვერ ისვანეთებს!

ახლა შორს არის სვანეთი სადღაც,
ჩემი პატარა ლურჯი სოფელი.
გარშემო მხოლოდ სიმშვიდე აკრავს,
ბევრი მოკეთე და მეზობელი,
შეჩვეულები ჭირსა და ლხინში
ჩემს ქვეყანასთან განუყოფელი.

მას სამშობლოსთან მარად ნათელი,
უსპეტაკესი საქმე აერთებს.
სვანეთი რაა — ერთი მტკაველი,
მწამს უმეგობროდ ვერ ისვანეთებს!

ჩვენ უმშვიდობოდ ვერ დავმშვიდდებით
თავისუფლების რწმენა გვაერთებს,
სიცოცხლე ჩვენთვის არის საერთო.
ჩვენ ხელით ვწვდებით ცაში პლანეტებს.
დიად რუსეთთან დგას საქართველო,
ერთად მებრძოლნი მშვიდობისათვის
ძმები ვეღარ ვძლებთ უერთმანეთოდ.

მშვიდობის მტრედს

ჰე, მშვიდობის თეთრო მტრედო,
ჩემო ნატვრავ და იმედო
ჩემს სარკმელში შემოფრინდი!

მეც მყავს შენებრ ორი შვილი,
მშვიდობისთვის გაჩენილი —
თითისტოლა ორი ჩიტი!

ორივენი ბარტყებს გვანან,
დედა უმღერს იავ-ნანას,
ღუღუნებენ ორთავ ტკბილად.

და მე მათი მამა ვიწვი...
ერთმა ომის არა იცის,
თვალი შემდეგ გაახილა!

მან არ იცის რაა ტყვია,
არავისგან გაუგია,
ტყვიით ცეცხლის გაჩაღება!

ხეთა შრიალს მიეჩვია,
მის სარკმელთან ფოთლის შრიალს,
ნიავ-ქარის გალაღებას!

მტრედო, ჩემო თეთრო მტრედო,
ჩემი ხალხის სასიყვეთოდ
იღუღუნე უფრო ტკბილად.

ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში
შენი ფრთების მძლავრი ტაშით
მშვიდი დილა მოფრენილა!

შენ ნისკარტით მშვიდობას სწერ
გ-ძვირფასი, წმინდა ცაზე,
ჩემს აივნებს დასთამაშებ.

უკაკუნებ ფანჯრის მინებს,
გათვნებას ატყობინებ
გალაღებულ ოქროს ბავშვებს!

მე თხოვნა მაქვს შენთან ერთი,
დღეს თუ ჩემთან შემოხვედი,
გულისწადილს დაგაბარებ.

მშვიდობის ლექსს, შენის ხელით
თუ ნისკარტით გადაწერილს
- მე გაგატან უცხო მხარეს.

თორემ აქ ჩემს ქვეყანაში,
აყვავებულ მთა და ბარში,
მშვიდობისთვის ვსუნთქავთ ყველა!

— მშვიდობა გვსურს! სადაც გკითხონ
ეს უთხარი, რასაც ვფიქრობთ,
რასაც ამბობს ეს სიმღერა!

მიხარია ჩემო მტრედო,
ჩემო ნატვრავ და იმედო,
ჩემს სარკმელთან რომ გაქვს ბინა.

მე რაც გულით დაგაბარე,
შთაძინერგა ჩემმა მხარემ
და ეს ლექსი მათქმევინა!

ხალხთა მშვიდობის ფუძემდებელი

ჩვენში მზეა და მუდამ იქნება,
ჩვენში ყოველთვის განთიადია.
ეს მისთვის, რადგან წინ მიგვიძღვება
ბოლშევიკების დიდი პარტია.

ქარტეხილებში გამობრძმედილი
მუდამ მართალი და დიადია,
პარტია ჩვენი ბრძენი ლენინის,
ბრძენი სტალინის დიდი პარტია.

ის მზრუნველია, როგორც მშობელი
და მისი ზრუნვა გულს გვახატია.
შუქურა არის ჩაუქრობელი
ლენინ-სტალინის დიდი პარტია.

მან შეგვაყვარა საქმე მართალი
პატიოსნების სხივით ანთია —
ვაჩაღებული ვით ჩიტაღდანი
კომუნისტების დიდი პარტია.

ბედნიერების მაუწყებელი
ქვეყნიერების განთიადია,
ხალხთა მშვიდობის ფუძემდებელი
ლენინ-სტალინის დიდი პარტია.

დედის თვალები

ვიცი რომ გიყვარს
მშობელი დედა,
მის თვალთან ამჩნევ შეყრილ ნაოჭებს.
მისი თვალები ბუდეში სხედან
და მათი ჩრდილი ნუ გაგაოცებს!

ეს თვალებია ეხოდენ წყნარი,
ახლაც მორცხვობით რომ ვეკრძალებით.
ეს უწმინდესი თვალები არის,
ჩვენი დედების მშვიდი თვალები.

ბევრი გვინახავს მზეც და ნამქერიც,
მშვიდი მრომაც და ქარტეხილებიც,
დედის თვალებში ჩანს ყველაფერი
და მათში არის აღბეჭდილები.

მე მინდა მუდამ იმათ ვუცქირო
მათში გარკვევით მოსჩანს ყოველი.
თვალი ზღვასავით არის უძირო
და მრავალ წმინდა ფიქრთა მპყრობელი.

ეს თვალებია ეხოდენ წყნარი,
ახლაც მორცხვობით რომ ვეკრძალები,
ეს უწმინდესი თვალები არის
ჩვენი დედების მშვიდი თვალები.

ჩვენ მრისხანებაც ხომ გვახსოვს მათი,
როგორ ხატავდნენ ისინი ტკივილს.
როგორ განრისხდნენ სამშობლოსათვის
ორმოცდაერთის ოცდაორ ივნისს!

ცხრა მაისამდე ორმოცდახუთის
ჩუმი ცრემლებით იყვნენ სოველნი,
და სჯერა დედას იმგვარი წუთის
განმეორება აღარ მოელის.

ომი ჩვენ არ გვსურს,
დედაჩემს არ სურს,
სიცოცხლე ჩვენთვის გახდა ედემი.
ჩვენ მრომით ვაძლევთ მშვიდობას
დასტურს
და მომავალში შორს ვიხედებით.

ჩახედე თვალებს,
დედიკოს თვალებს
ახლაც მორცხვობით რომ ვეკრძალებით.
ის წყევლას უთვლის ჩერჩილს და დალესს,
მათდამი ზიზღით უკრთის თვალები.

ნუ გიკვირს, თუ კი ხანდახან დედას
თვალთან შეამჩნევ შეყრილ ნაოჭებს.
მე მათში მტრების სიძულვილს ვხედავ
და თვალთა რისხვა ნუ გაგოცებს.

ჩვენს სინათლეზე

ჩვენს სინათლეზე ნათლად გამოჩნდნენ
თქვენი ზრახვანი უკუღმართული.
ომი არ გვინდა, მაგრამ ყოველთვის
ჩახმახი ფეხზე გვაქვს შემართული.

თქვენ წლობით ზრდიდით მრავალ რაიკებს,
მრავალ ოსტატებს საშინელების.
თქვენი ბინძური ფანდი გაიგეს,
ხალხმა ამხილა კაცის მკვლელები.

მათ ხელში შერჩათ თქვენი ავანსი,
ლაფში მოსვრილი ტიტოს ტიტული,
მკვლელს გასამრჯელო —
ოქრო ხალასი,
ოქრო, ნამდვილად უოლ-სტრიტული.

თქვენი ბინძური ფანდი გაიგეს,
რითი უშველით ახლა რაიკებს?!

რითი უშველით ახლა გომინდანს?
(გამწარებული ალბათ გემდურით!),
როცა ჩინეთის მხსნელად მოვიდა
გამარჯვებული მაო ძე-დუნი!

რითი უშველით ახლა გომინდანს?
თქვენი ეს ფანდიც არ გამოვიდა!

ჩვენს სინათლეზე ნათლად გამოჩნდნენ
თქვენი ზრახვანი უკუღმართული.
ომი არ გვინდა, მაგრამ ყოველთვის
ჩახმახი ფეხზე გვაქვს შემართული.

ყველა გზა მოსკოვში მოდის

მოსკოვმა შემმატა ძალა,
ალალი სიმღერით ვიწვი.
ალაღებს მშობლიურ ქალაქს
სურნელი რუსეთის მიწის.

ხეივნებს ჩავუვლი ფრთხილად,
ყურს ვუგდებ ბავშვების სიცილს.
ასეთი მშვიდობის დილა
მხოლოდ აქ, მოსკოვში იცის.

მხოლოდ აქ, მტრედისფერ ცაში
უქრობი ნათელი ღვივის,
მზეს ასწრებს წამწამთა გაშლას
კრემლიდან პირველი სხივი.

აქ არის მშვიდობის ფუძე,
აქ დგება მშვიდობის დარი.
აქედან ქვეყანას უცქერს
ბელადის შორსმჭვრეტი თვალი.

მისი მზე ჩვენ ყველგან გვახლავს,
სიმღერა—უკვდავი ძმობის.
აქ არის სავანე ხალხთა,
ყველა გზა მოსკოვში მოდის.

საბავშვო ბაღი

სვეტებიანი დარბაზის ახლოს,
სადაც ხმაურით ირევა ხალხი,
წმინდათა-წმინდა ოჯახი სახლობს —
ერთი პატარა საბავშვო ბაღი.

ფანჯრებში ბრწყინავს მზე და ალმასი,
ქუჩას ეფრქვევა მისი ღიმილი
და ჩიტუნების ხმებზე ლამაზი
გვესმის ბავშვების ჟივილ-ხივილი.

თეთრ ხალათებში, როგორც მტრედები,
აზრი და ძალა ჩვენი დროების,
ისინი, ვისით შორს ვიხედებით
ჩვენ ხელს გვიქნევენ უმანკოები.

დარბაზისაკენ ერთხმად ვიჩქარით
მათი გულისთვის უცბათ ვჩერდებით,
ჩვენ გვხიბლავს მათი სუნთქვა ცინცხალი,
ჩვენი პატარა თეთრი მტრედების.

მშვიდობისათვის მოწოდებულნი
ბალღებს ბალღურად ვეთამაშებით.
გვესალმებიან გახარებული
მზე-კომუნიზმის ოქროს ბავშვები!

ელენე კოშევაია—ოლეგის დედა

სხდომის დროს, დარბაზში
თვალებით დავეძებ,
მე ვიცი, გავიგონე,
აქ არის ჩვენთან!
და მინდა ვეამბორო
დათუთქულ მკერდზე
ელენე კოშევაიას —
ოლეგის დედას!

ომზეა საუბარი,
ცეცხლზეა საუბარი,
მშვიდობის მომხრენი
დარბაზში ვსხედვართ.
ნეტავი რას ფიქრობს
ახლა გულდამწვარი
ელენე კოშევაია —
ოლეგის დედა!

დედის გულს ჭრილობა
არ გაუთელდება,
ძნელია მოიშოროს
ფარული სევდა.
მწამს, ახლა უთუოდ,
უთუოდ შემხვდება
ელენე კოშევაია —
ოლეგის დედა!

ახლა ღამეა და
პატარა მალხაზები,
ენაჭიკჭიკები
ბუდეში. სხედან.
გულით იქა ხარ და
ნანას ეუბნები
ბაღის ალსაზრდელებს —
ოლეგის დედა!

იქნება მოიღრუბლე,
ფიქრებით დაიღალე,
წამებით გათეთრებულ
მზე-ჭაბუკს ხედავ.
და გინდა საკოცნელად
მის შუბლთან დაიხარო
ელენე კოშევაია —
ოლეგის დედა!

არა, არ დადგება
აწი ქარიშხალი
დედავ, მომისმინე,
მშვიდობას ვჭედავთ.
ისე ვით ოლეგი
მკერდში ჩამიკარი,
ელენე კოშევაია —
ოლეგის დედავ!

ომზეა საუბარი,
ცეცხლზეა საუბარი
თვალებით მოგაგონი,
მოღუშულს გხედავ.
მრისხანედ იცქირები,
ომით გულდამწვარი
ელენე კოშევაია —
ოლეგის დედა!

როცა სხდომა გვაქვს...

ახლა ალბათ ბალღებს სძინავთ,
ჩვენს პატარა თოთო ბალღებს.
ზოგი ძილში იშმუშნება,
ზოგი უცბათ თვალებს ახელს.

ზოგს ბალიში დაუხატავს,
კულულებით მოუქარგავს,
ზოგს ღვიძავს და ბებიკოს თხოვს
„ცეროდენას“ ლამაზ ზღაპარს.

ჩვენს პატარა ბალღებს სძინავთ,
ჩვენს პატარა ოქროს ბავშვებს.
ზოგს ფანჯრიდან შემოსული
ჭანდრის ჩრდილი დასთამაშებს.

ზოგს სიზმარი შეპარვია
და ტუჩებზე ღიმი უკრთის.
ზოგს კი ხელში ჩაუბღუჯავს
საყვირი და დიდი ბურთი.

სძინავთ ბალღებს,
ესიზმრებათ
ზიზილები, გვირილები...
მშვიდობისთვის გაჩენილნო,
ძილინების,
ძილინების!

ხორავას სიტყვა

ეს სვეტებიან დარბაზში იყო
ორი თვის წინათ,
აგვისტოს თვეში.
მე ის წუთები რამ დამავიწყოს,
მემახსოვრება მთელს სიცოცხლეში.

უკან ვიჯექი და როგორც ყველა
თანამოძმეებს ვუსმენდი დიდხანს
და უცბად, ჩემდამოულოდნელად
ჩვენმა ხორავამ აიღო სიტყვა.

უცბათ ავარდა დარბაზში ტაში,
მქუხარე ტაში, გაცხარებული.
იმ წუთში მართლა ვიყავი ბავშვი
„არსენა ყაჩაღს“ შეყვარებული.

ჩემს ყურს ესმოდა მშობელი ერის
დანაბარები ალალი სიტყვა,
ის აზრი, რასაც ფიქრობს ქართველი
და იმერეთის სოფელში ითქვა:
უბრალო სიტყვა,
მშვიდობის სიტყვა!

მან აიტაცა დარბაზი უცებ
მომჯადოებელ სიტყვების ძალით,
ქვეყნიერების მშვიდობის ფუძეს —
მან დღეგრძელობა უსურვა სტალინს!

ეს სვეტებიან დარბაზში იყო
ორი თვის წინათ,
აგვისტოს თვეში.
მე ის წუთები რამ დამავიწყოს,
მემახსოვრება მთელს სიცოცხლეში!

დიდ ტრიბუნაზე ხორავა იდგა
და ფიცს აძლევდა მშობლიურ არწივს.
გულით ამბობდა მშვიდობის სიტყვას
მშვიდობისმომხრე
ქართველი კაცი.

მოძმე რუსებში დგას ქავთარაძე

ბრგე და კლდესავით გაუტეხელი,
დიხჯი და ძარად აუჩქარები,
ესაუბრება რუსებს კახელი
გაბრწყინვებული შავი თვალებით.

მას ხორბლისფერი დაჰკრავს სახეზე,
წარბები შვენის გადაგრუზული.
თუმცა ხანდახან სიტყვას დაეძებს,
მაინც ტკბილია მისი რუსული.

ისე დგას, თითქოს კვლავ ყანაშია
(თუმცა იქ არის ფიქრებით იგი).
ხელეურივით აუტაცნია
ლენინისა და სტალინის წიგნი.

მოსავლის ამბავს ჰყვება კახურად,
როგორც სჩვევიათ გულდინჯ კახელებს
და რუსებს აცნობს ხელხვავიანი
ხორბლის ოსტატთა ქართულ სახელებს.

ესაუბრება ტოლ-ამხანაგებს
გაბრწყინვებული შავი თვალებით.
მოძმე რუსებში დგას ქავთარაძე —
ბრგე, მაგარი და აუჩქარები.

როგავა ზუგდიდს იჩქარის

როგავა ზუგდიდს იჩქარის
ამბობს:—გული იქ მიმიწევს.
შორიდან ეალერსება
უკვე ტანაყრილ სიმინდებს.

როგავა ფიქრმა წაიღო,
ვერ მოისვენა, არ იქნა.
როგორმე უნდა გაიგოს
ზუგდიდში წვიმს თუ დარი დგას.

ასწონ-დასწონა ყოველი
და ტკბილად გვესაუბრება:
— რამდენი საქმე მომელის,
არ მაქვს დარჩენის უფლება!

როგავას წრფელი გული აქვს
ღელავს და მაინც არ იმჩნევს.
იქნება წყალი სწყურიათ
უკვე დახუხლულ ნარინჯებს.

იქნება უკვე სიმინდი
ულვაშში ჩუმად იცინის,
მოუჩანს ოქროს კბილები
ერთმანეთს კოხტად მიჯრილი...

როგავა ზუგდიდს იჩქარის,
კვლავ მოვა, როცა დრო გავა,
მოსკოვს სასწაულს ჰპირდება
შრომის ოსტატი როგავა.

არა, მშვიდობას არ აქვს საზღვარი

არა, მშვიდობას არ აქვს საზღვარი
არც დასდებია,
ნურც დაედების.
ეს ძალა არის უზარმაზარი
და სურვილია ჩვენი დედების.

არა, მშვიდობას არ აქვს საზღვარი,
უსაზღვრო არის, როგორც ოცნება.
სადაც ომების ჩაქრა ხანძარი
ყველგან ძმვიდობის დილა ცოცხლდება!

არა, მშვიდობას არ აქვს საზღვარი,
ის ჩემი ქვეყნის საზღვრებს სცილდება!
ქვეყნად ძმვიდობის დამკანონებელს,
ძმვიდობისათვის მებრძოლთ დიდება!

მოსკოვის მზეში, მშვიდობის დიღით

ᲙᲐᲜᲓᲘᲓ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

ახლა ვიგონებთ მშობლიურ თბილისს,
გვეხატებიან ჩვენი კორდები.
მოსკოვის მზეში, მშვიდობის დილით
ყველა ჩვენთაგანს შენ გვაგონდები.

აი მოსკოვის მზე სასახელო
დიდი სტალინის ზრუნვით გამთბარი.
აქაც თვალწინ დგას დღეს საქართველო
ცხადად ქცეული ხალხის ზღაპარი.

ეს საქართველო ჩვენს გულში სახლობს
მასზე მღერას ვართ დაჩვეულები.
ჩვენი ბერია აქ არის ახლოს
და მასთან ერთად შენ გვეგულები.

ჩვენ შენთანა ვართ აზრით და ფიქრით
გაღიმებული თვალწინ გვიდგები,
ხელში გიჭირავს სტალინის წიგნი
და მასთანა ხარ შენი ფიქრებით.

დღეს საქართველო შენს ძახილს ისმენს
ჭკვიანი თვალით შორს იცქირები,
მზე-კომუნიზმის მწვერვალებისკენ
მოგაყვებით შენი გამოზრდილები.

დღეს საქართველო მშვიდობას ეტრფის
ბევრი ომის და ცეცხლის მნახველი,
განუყრელია ყოველთვის ჩვენთვის
საქართველო და შენი სახელი.

მოსკოვში თვალწინ გვეხატებიან
ჩვენი მთები და ჩვენი კორდები.
აქ ახლოს არის ჩვენი ბერია
და მასთან ერთად შენ გვაგონდები.

ნეტავ ოდესმე დამაწერინა...

ხალხი თხოულობს სიტყვას და ლექსებს,
მათი გულწრფელი სურვილი გვესმის.
ხალხს ახლა უნდა ძლიერად ყღერდეს
მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის ლექსი!

ის, რაც შრომაში გამოადგება
რასაც ყოველთვის გაიხსენებენ.
ლექსი, რომელიც ცაში აჰყვება
ცათამბჯენების გამრჯე მშენებელს.

ლექსი, რომელიც მოგვგვრის სიამეს
უსაყვარლესს და სანატრელ წუთებს.
სიტყვა, რომელიც აახმიანებს
ხალხის გულს—ძვირფას ლექსების ბუდეს.

სიტყვა, რომელიც ხიამეს მოგგვრის
და მხრებით ასწევს ყველა სიმძიმეს,
კოლმეურნეებს ახალი სოფლის
ყანაში ტკბილად ააღიღინებს.

კარგ ლექსს ხალხების გულში აქვს ბინა,
ბინა, თბილი და უსპეტაკესი...
ნეტავ, ოდესმე დამაწერინა
სტალინს რომ უყვარს ისეთი ლექსი.

მშობლიურ სტალინს

იმედათ ჰყავხარ მსოფლიოს ხალხებს,
სტალინი ხალხთა დიდება არის.
იმეორებენ შენს ძვირფას სახელს,
შენ მოგმართავენ
მშობლიურ სტალინს!

როცა ბერძენი შავ სიკვდილს ელის,
თვალებთან ელავს ჯალათის ხმალი,
ის შენ გეძახის გაწვდილი ხელით
მხსნელსა და იმედს
მშობლიურ სტალინს!

როცა ჩინელი სიკვდილთან იბრძვის
გომინდანელთა დაფლითა რკალი,
მისი გმირული ყიყინა ისმის,
სახელად ჰქვია
მის დროშას სტალინ!

როცა მსოფლიო შენს დროშას უცქერს,
დროშა ფრიალებს მშვიდობის ძალით,
ხალხების მამას, მშვიდობის ფუძეს
შენ შეგყურებენ
მშობლიურ სტალინს!

სტალინ, შენა ხარ მშვიდობის ბურჯი
გამარჯვებათა მწვერვალზე მდგარი.
ჩირაღდანივით ვინთია გულში
შენი ძვირფასი
სახელი სტალინ!

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესია

18 ნოემბერს მოსკოვში, ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, მუშაობას განაგრძობდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესია. დილის სხდომა გახსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დოლორეს იბარურიმ.

პირველი გამოდის არგენტინის დემოკრატ ქალთა კავშირის თავმჯდომარე მარგარიტა დეპოხსე. იგი ლაპარაკობს არგენტინელ ქალთა კავშირის საქმიანობაზე, რომელიც, მიუხედავად პოლიციის რეპრესიებისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა სრული უქონლობისა, ზრდის და განამტკიცებს თავის გავლენას მასებში.

შვეიცის დელეგატმა ქ-ნმა ვალბორგ სვენსონმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ბუდაპეშტის კონგრესის შემდეგ შვეიცის ქალაქებსა და სოფელ ადგილებში შექმნილია 12 ახალი ადგილობრივი განყოფილება. შვეიცის დემოკრატი ქალები აქტიურად იბრძვიან მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

მშვიდობისათვის მოქმედების კანადის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ ქ-ნმა დორიზ ნილსონმა თავის გამოსვლაში მოიყვანა ცნობები, რომლებიც ახასიათებენ ქალთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას მის ქვეყანაში: ქალები იღებენ მათხოვრულ ხელფასს, განწირული არიან უმუშევრობისათვის.

კანადის დელეგატმა განაცხადა, რომ ამჟამად კანადაში მუშაობა წარმოებს ქალთა ყველა ორგანიზაციის გასაერთიანებლად ქალთა ერთიან ნაციონალურ კონგრესში, რომელიც შედის ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში.

ფრანგ ქალთა კავშირის მდივანმა ფრანსუაზა ლეკლერკმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან ფრანგი ქალები მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ საზეიმო ფიცს, რომელიც მათ ბუდაპეშტის კონგრესზე დადეს: „ფრანგი დედები არასოდეს არ მისცემენ თავიანთ შვილებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის“.

საბჭოთა ქალებისა და სესიის ყველა მონაწილისადმი მიმართული მხურვალე მისალმების სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა ჩეხოსლოვაკიელ ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ანეუკა გოდინოვა-სპურნამ. მან ილაპარაკა სოციალიზმის მშენებლობაში ჩეხოსლოვაკიის ქალთა აქტიურ მონაწილეობაზე, მტკიცე მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ დაუღალავ ბრძოლაზე.

შემდეგ გამოვიდა დანიის სექციის წევრი ტიმფა ელმა ირგენსენი.

რუმინეთის დემოკრატ ქალთა კავშირის თავმჯდომარემ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრმა კონსტანცა კრაჩუნმა განაცხადა, რომ ახალი დემოკრატიული რუმინეთის მიღწევები და მისი მომავლის გრანდიოზული გეგმები მჭევრმეტყველურად მოწმობენ ხალხის მისწრაფებას მშვიდობისაკენ.

ჩვენთვის მშვიდობისათვის ბრძოლა, — ამბობს იგი, — ეს არის ბრძოლა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის განმტკიცებისათვის, რომელიც ემსახურება მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალები, ახალი ცხოვრების თანასწორუფლებიანი მშენებლები, აქტიურად მონაწილეობენ ამ ბრძოლაში.

ავსტრიის დემოკრატ ქალთა კავშირის აღმასკომის წევრმა ნიურნბერგერ მარიინერმა განაცხადა, რომ ავსტრიელ ქალებს არ სურთ ახალი ომი. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა გავაერთიანოთ ყველა ქალი ერთიან მძლავრ ინტერნაციონალურ ფრონტად, რათა მშვიდობამ გაიმარჯვოს ომზე.

— ჩვენ ჩამოვედით ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესიაზე, — განაცხადა კუბის წარმომადგენელმა ქ-ნმა ედიტ გარსია ბუჩაკამ, — მას შემდეგ, რაც მონაწილეობა მივიღეთ მშვიდობის დაცვის კონტინენტალურ კონგრესში ქალაქ მექსიკოში, სადაც ამერიკის კონტინენტის ხალხებმა მტკიცედ და გადაჭრით განუცხადეს მთელ მსოფლიოს, რომ მათ განზრახული აქვთ იბრძოლონ მშვიდობის საბოლოო გამარჯვების საქმისათვის.

უნგრელ ქალთა დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარემ ქ-ნმა მაგდა იობორუმ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ მონაწილეობენ უნგრელი ქალები მთელ შრომელებთან ერთად სოციალიზმის მშენებლობაში. მან დამსწრეთ მოაგონა ამასწინანდელი გასამართლება რაიკის ჯაშუშური ბანდისა, რომელიც ასრულებდა ომის გამჩაღებელთა დაკვეთას და ტიტოსა და მის თანამონაწილეთა დახმარებით ლახვრის ჩაცემას უპირებდა სახალხო დემოკრატიას.

— უნგრელი ქალები დარწმუნებული არიან, — ამბობს იგი, — რომ მშვიდობის დაცვა შეიძლება ყველა იმათი გაერთიანებით, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის, საბჭოთა კავშირის მეთაურობით. ჩვენ საბჭოთა კავშირის სახით ვხედავთ ჩვენს განმათავისუფლებელს, მშვიდობის დამცველს მთელ მსოფლიოში. უნგრელი ხალხის, უნგრეთის ქალების გულში ყოველთვის იქნება მგზნებარე სიყვარული სსრ კავშირისა და მისი ბელადის სტალინისადმი. (ტაში).

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დელეგატმა ქ-ნმა მარია ბემეტამ განაცხადა, რომ ტრიესტის ტერიტორიის „ბ“ ზონაში და იუგოსლავიაში მშვიდობისა და დემოკრატიის ბევრი აქტიური მომხრე რანკოვიჩის საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებშია, სადაც მათ აწამებენ მხოლოდ იმიტომ, რომ შეინარჩუნეს ერთგულება საბჭოთა კავშირისადმი, იმ პრინციპებისადმი, რომლებისთვისაც ისინი კვლავ მზად არიან დღესაც გუშინდელივით მამაცურად იბრძოლონ.

ტიტოელთა წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც ტრიესტის მთელ დემოკრატიულ ელემენტებთან ერთად იტალიის სლავი ქალების ანტიფაშისტური კავშირი ატარებს, იმპერიალისტთა—ომის გამჩაღებელთა წინაააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის საერთო ბრძოლის ნაწილია.

სესიის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ევგენია პრაგოროვა (ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე).

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა დელეგატმა დულმაყაბმა ილაპარაკა თავისი ქვეყნის ქალთა ცხოვრებაზე, რომლებიც მამაკაცებთან თანაბრად სარგებლობენ ყველა ეკონომიური და პოლიტიკური უფლებით. მან აღნიშნა, რომ მონღოლი ხალხის აყვავებასა და ბედნიერ ცხოვრებას ბევრად დაეხმარა საბჭოთა კავშირი.

შემდეგ გამოვიდა ისრაელის სახელმწიფოს ქალთა დელეგატი ფეიგა ილანიტი. მის შემდეგ სიტყვა აიღო ლუქსემბურგის დელეგატმა ქ-ნმა კლარ ურბანიმ, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ქალთა კავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს მშვიდობის დაცვის ნაციონალურ მოძრაობაში. მშვიდობის მეგობართა ფრონტი ბრძოლას არ შეწყვეტს მანამდე, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ქ-ნმა მარია ლიბს-ოდინომ (პოლანდია) განაცხადა, რომ მშვიდობის საერთაშორისო დღეს — 2 ოქტომბერს — ჰოლანდიის ქალაქსა და სოფლის მცხოვრებმა ათეულათასობით მშვიდობისმოყვარე ქალმა და კაცმა გადაჭრით ცხადყო თავისი სურვილი, რომ დამყარდეს მტკიცე მშვიდობა, აზრი გამოთქვა ინდონეზიაში ომის შეწყვეტის სასარგებლოდ.

შემდეგ გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ქალთა დელეგატი ლენკა ლეჩკა.

სესიის მონაწილენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ გმირი ალბანეთის წარმომადგენელს ქ-ნ ნეჯმიე ხოჯას, რომელმაც განაცხადა, რომ ალბანელ ხალხს სწამს ხალხთა მეგობრობა, ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას და სწამს მშვიდობის გამარჯვება მთელ მსოფლიოში.

ქ-ნი ელიზაბეტ ტანი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის შვეიცის სექციის სახელით აცხადებს, რომ შვეიცის ქალები გამოხატავენ ერთსულოვან მისწრაფებას გაერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი მტკიცე და ურღვევი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

შემდეგ საბჭოს სესია გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვაზე.

მოხსენება თემაზე: „კაპიტალისტურ ქვეყნებში სიღარიბისა და უმუშევრობის ზრდასთან დაკავშირებით ქალთა ეკონომიური უფლებების დაცვა“ გააკეთა სენის დეპარტამენტის (საფრანგეთი) პროფკავშირთა გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ანეკენ სალეირტმა.

მომხსენებელი დაწვრილებით ანალიზს უკეთებს შრომელთა ეკონომიურ მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში და აღნიშნავს, რომ უმუშევართა რიცხვი ცხრა ქვეყანაში მარტო ერთი წლის მანძილზე — 1948 წლის მარტიდან 1949 წლამდე — გაიზარდა 51 პროცენტით.

— იმპერიალისტები ცდილობენ ეკონომიური კრიზისიდან გამოსავალი ნახონ ახალი აგრესიული ომის გაჩაღებაში, — ამბობს ქ-ნი სალეირტი. — ისინი უკვე გააფთრებით ემზადებიან ამ ახალი ომისათვის, გამალებით იარაღდებიან და განუწყვეტლივ ადიდებენ უმისოდაც გადიდებულ სამხედრო ბიუჯეტებს, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ხალხის მასებს.

მშრომელ ქალთა მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთიორად უფრო მძიმეა. ქალს პირველ რიგში ითხოვენ სამუშაოდან და იგი დღემდე ვერ იღებს მამაკაცის თანაბარ ხელფასს ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც კონსტიტუცია ფორმალურად აღიარებს მის თანასწორუფლებიანობას.

მომხსენებელმა ილაპარაკა კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელ ქალთა ბრძოლაზე თავისუფლებისათვის, უმუშევრობისა და სიღარიბის წინააღმდეგ, და აღნიშნა, რომ ყველა ქვეყნის მშრომელი ქალები პროფკავშირებთან ერთად იბრძვიან თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების აღიარებისა და პატივისცემისათვის.

— ამ ბრძოლაში მათ აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა მასების ცხოვრების მაგალითი, — ამბობს მომხსენებელი.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია მსოფლიოს ყველა ქალთა წინაშე ამხილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალურ და ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ქალთა მდგომარეობის საკითხთა კომისიის რეაქციულ პოლიტიკას. ამ კომისიამ უარი თქვა მხარი დაეჭირა ქალთა შრომის თანასწორი ანაზღაურების პრინციპისათვის. ეს კომისია არსებითად იცავს კაპიტალისტთა ინტერესებს.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სახელით ქ-ნი სალეირტი მოუწოდებს მშრომელ ქალებს მოაწყონ ბრძოლა მშრომელთა საარსებო დონეზე რეაქციის შეტევის წინააღმდეგ, სამხედრო ბიუჯეტების წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, სამხედრო ხარჯების შემცირებით მშრომელთა სოციალური საჭიროებისათვის ასიგნებათა გადიდების მოთხოვნისათვის.

დოლორეს იბარურიმ სესიაზე გააკეთა განცხადება, რომელიც ამბათილებს იმ ცილისწამებას, რასაც მის შესახებ ინგლის-ამერიკის პროპაგანდა ავრცელებს.

სხდომის დასასრულს გამოსულმა კანადის დელეგატმა დორიზ ნილსენმა განაცხადა, რომ კანადის დელეგაცია მტკიცედ უჭერს მხარს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის დადგენილებას ფედერაციის რიგებიდან იუგოსლავიის სექციის გარიცხვის შესახებ. (საკდესი).

ბანკეტი აზიისა და ოკეანიის ქვეყნების პროფკავშირთა კონფერენციის დელეგატების პატივსაცემად

პეკინი, 18 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 16 ნოემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ ბანკეტი გამართა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს წევრებისა და აზიისა და ოკეანიის ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლების პატივსაცემად.

ჯოუ ენ-ლაიმ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სტუმრებს და განაცხადა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ლიდერებისა და სხვადასხვა ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლების ჩამოსვლამ აღაფრთოვანა ჩინელი ხალხი. „ეს მოწმობს არა მარტო მეტი წილი მუშათა კლასის ერთიანობას, — განაცხადა მან, — არამედ მთელი მსოფლიოს მეტი წილი დემოკრატიული ძალების ერთიანობასაც“.

პროფკავშირული მოძრაობის ლიდერებს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა სახელით მიესალმა მთავარსარდალი ჯუ დე.

ბანკეტის დროს სიტყვა წარმოთქვეს სსრ კავშირის წარმომადგენელმა სოლოვიოვმა, ლათინური ამერიკის წარმომადგენელმა ტოლედანომ და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

ჯოუ ენ-ლაიმ და სტუმრებმა ადღეგრძელეს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი და გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საკდესი). 16 ნოემბერს პოლიტიკურ კომიტეტში გაჩაღდა დისკუსია სსრ კავშირის მთავრობის წინადადებებზე ახალი ომის მომზადების დაგმობის შესახებ, ატომური იარაღის აუცილებლად აკრძალვის და სათანადო სასტიკი კონტროლის დაწესების ღონისძიებათა მიღების შესახებ და ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის განსამტკიცებლად პაქტის დადების შესახებ.

საბჭოთა კავშირის წინადადებანი, ისევე როგორც საბჭოთა დელეგაციის მიერ ინგლის-ამერიკის აგრესიული გეგმების გამოაშკარავება, ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლთა გაცოფებას იწვევს. რაკი არ შეუძლიათ დაუპირდაპირონ ღრმად დასაბუთებულ და კაცობრიობის ინტერესების დასაცავად მიმართულ საბჭოთა წინადადებებს რამდენადმე დამაჯერებელი საბუთები და ფაქტები, ისინი მიმართავენ დემაგოგიას, ცილისწამებასა და შეჭარას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ მხრივ ტიპიური იყო გამოსვლა ინგლისის წარმომადგენელ მაკნეილისა, რომელიც ისევე, როგორც მისი ამერიკელი კოლეგა, საბუთების უქონლობის გამო არ მოერიდა ცილისმწამებლურ ჭორებს საბჭოთა კავშირის მიმართ. მაკნეილი ლიტონი სიტყვებით უარყოფდა საბჭოთა დელეგაციის მიერ მოყვანილ ცნობებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ ახალი ომის მომზადების შესახებ და ცდილობდა სამე ისე დაესახა, თითქოს საბჭოთა კავშირს მშვიდობა არა სურს და მშვიდობის მოწინააღმდეგეა. თავისი სიტყვა ინგლისის წარმომადგენელმა დაამთავრა განცხადებით, რომ მისი დელეგაცია წინააღმდეგია საბჭოთა წინადადებებისა და განსაკუთრებით მშვიდობის განსამტკიცებლად ხუთი სახელმწიფოს პაქტის დადებისა.

საბჭოთა წინადადებებს მხარი დაუჭირა პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ვერბლოვსკიმ, რომელმაც თავის სიტყვაში ამხილა ინგლის-ამერიკის დელეგატების დემაგოგიური გამოსვლები.

პოლონეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეგრეთ წოდებულ ცივ ომს უკვე რამდენიმე წელიწადია ხელოვნურად აღვივებენ ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი გავლენიანი წრეები. ატომური ბომბის ვითომ მონოპოლისტები მათ მიერ მოგონილი საფრთხით აშინებენ სხვა ხალხებს. აქედან ეძლევა დასაბამი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოლიტიკას, რაც მიმართულია ყველა იმ რეაქციულ ანტიდემოკრატიულ ძალთა კონსოლიდაციისაკენ, რომელთაც იმედი აქვთ ხელი მოითბონ მომავალი ომით. მაგრამ, თქვა ვერბლოვსკიმ, ხალხთა მასებმა მთელ მსოფლიოში მშვენივრად იციან, ვინ იხსნა მსოფლიო გერმანიის ჰიტლერიზმის, იტალიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმისაგან. ხალხის მასებს ახსოვთ სტალინგრადის გმირული დაცვა. უბრალო ადამიანებმა იციან, რომ საბჭოთა კავშირს, რომელიც თავისი დანგრეული და დამწვარი ქალაქებისა და სოფლების აღდგენას ეწევა, მშვიდობა სურს და იგი არავის არ ემუქრება.

მოიყვანა რა შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ საერთაშორისო შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა უხეშად დარღვევის კონკრეტული ფაქტები და აღნიშნა რა ინგლის-ამერიკის ბლოკის გამალებული მზადება ახალი ომისათვის, პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა:

საბჭოთა კავშირის რეზოლუცია წარმოადგენს მშვიდობის საქმეში შეტანილ არსებით, კონკრეტულ და უაღრესად მნიშვნელოვან წვლილს. ასეთი ხასიათი აქვს საბჭოთა ყველა წინადადებას, რომლებიც მიზნად ისახავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებას, საერთაშორისო თანამშრომლობას და მშვიდობისათვის ბრძოლას.

შეეხო რა ტიტოს ხროვის წარმომადგენლის გამოსვლას, პოლონეთის დელეგატმა აღნიშნა, რომ ამ გამოსვლის მიზანი იყო შეესუსტებინა პოზიცია მშვიდობის ბანაკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, იმ მომენტში, როცა იგი მწვავე და უაღრესად სერიოზულ ბრძოლას ეწევა ომის საფრთხის წინააღმდეგ. ახლა, თქვა ვერბლოვსკიმ, ტიტოელებმა საბოლოოდ ჩამოიხადეს ნიღაბი და დაგვანახვეს იმპერიალიზმის მიერ მოსყიდულთა, მშვიდობის მტერთა და რენეგატთა ნამდვილი სახე.

ვერბლოვსკიმ მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, რომელიც წარმოადგენს უხეირო ცდას — თავი აარიდონ პასუხს კითხვაზე: სურთ თუ არა მშვიდობიანი თანამშრომლობა?

პოლონეთის დელეგაციის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებებს და გააცხადა, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს ამ წინადადებებს, რომლებიც წინ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენენ მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დამყარების გზაზე.

საბჭოთა წინადადებების მოწინააღმდეგეთა პოზიციას დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ.

თავის ვრცელ სიტყვაში, რომელიც დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ცხადყო, რომ მშვიდობის საქმის ინგლისელ-ამერიკელი მესაბოტაჟეები ცდილობენ ყურადღება ჩამოაშორონ საბჭოთა წინადადებებს და დემაგოგიის, სიცრუისა და ცილისწამების ღვარის დაყენებით დაემალონ იმ უდავო ფაქტებს, რომლებიც მოყვანილი იყო კომიტეტში და რომლებიც მთელი სიცხადით მოწმობენ მსოფლიო ბატონობის ერთ მუჭა ინგლისელ-ამერიკელი პრეტენდენტების მიერ ახალი ომის მომზადების გაძლიერებას.

ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა და ვერც ინგლისის დელეგატმა ვერ გააბათილეს ამერიკის მილიტარისტული წრეების წარმომადგენელთა ის გიჟური კაცისმჭამელური აზრები ომის გაჩაღების შესახებ, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ პოლიტიკურ კომიტეტში მოიყვანა. აღნიშნულმა წარმომადგენლებმა, არსებითად, დუმილით აუარეს გვერდი ამ ფაქტებს და უჩიოდნენ იმას, რომ მათ წინააღმდეგ წამოყენებულია მძიმე ბრალდებანი ახალი ომის მომზადებაში. ამავე დროს მათ ვერაფერი დაუპირდაპირეს იმ ფაქტებს, რომლებსაც ეყრდნობა ეს ბრალდებანი. თავისი დუმილით ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლებმა მხოლოდ დაადასტურეს იმ მკაცრი შეფასების სისწორე, რაც ამ ფაქტებს საბჭოთა დელეგაციამ მისცა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მოიყვანა იმის ახალი დამადასტურებელი ფაქტები, რომ ახალი ომის მომზადებაში წამყვანი როლი ეკუთვნით ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულ წრეებს.

ა. ი. ვიშინსკიმ ამხილა საშინელი სიცრუე, რასაც ამერიკის რეაქციული პროპაგანდა ავრცელებს, თითქოს საბჭოთა კავშირი ამზადებს ახალ ომს, და ცხადყო მთელი ფარისევლობა ომის ინგლისელ-ამერიკელი გამჩაღებლებისა, რომლებიც მთელ მსოფლიოში აგებენ ასობით სამხედრო ბაზებს, ხოლო ამავე დროს საშინელ ბრალდებას უყენებენ საბჭოთა კავშირს. რეაქციული ლაყბობა იმაზე, თითქოს საბჭოთა კავშირი ვინმეს ემუქრება, ძველი ზღაპარია. ამით ვერავის დაარწმუნებენ. ამით ვერ მიჩქმალავენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი აქტიურად იბრძვის მშვიდობისათვის.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამხილა ფარისევლობა „მოსაზრებებისა“, რომ ხუთი სახელმწიფოს მიერ მშვიდობის განსამტკიცებლად პაქტის დადება თითქოს იმას გამოიწვევს, რომ პატარა ქვეყნები მიღებული არ იქნებიან ანგარიშში, აგრეთვე განცხადებისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების არსებობა თითქოს ზედმეტს ხდის ასეთ პაქტს. ა. ი. ვიშინსკიმ გააბათილა ყალბი არგუმენტაცია ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზატორებისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოს ამ ხელშეკრულებას აგრესიული ხასიათი არ ჰქონდეს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა დაწვრილებით გაარჩია ინგლისის, საფრანგეთის, კანადისა და სხვათა წარმომადგენლების სიტყვები და ცხადყო ნამდვილი აზრი კანადის წარმომადგენლის ცილისმწამებლური — გამოხდომისა, რომელიც ცდილობდა დაერწმუნებინა კომიტეტი, რომ საბჭოთა კავშირს თითქოს ომი გარდუვალად მიაჩნია. დასასრულ ა. ი. ვიშინსკიმ მოუწოდა კომიტეტს საქმიანად განიხილოს და მხარი დაუჭიროს საბჭოთა წინადადებებს, რომლებიც მიმართულია მშვიდობის დაცვისა და ხალხთა თანამშრომლობის უზრუნველყოფისაკენ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის კომუნიკე

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა კომუნიკე რეპრესიების შესახებ, რომლებსაც მიმართავს ჰაიდარაბადის სამთავროს მთავრობა დემოკრატიული ძალებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ამ ცოტახნის წინათ, ნათქვამია კომუნიკეში, ჰაიდარაბადის მთავრობამ სიკვდილი მიუსაჯა 30 გლეხს, რომლებიც სათავეში ედგნენ ინდოეთის მშრომელ მიწათმოქმედთა ორგანიზაციებს. გარდა ამისა, ხელისუფალნი მხეცურად სდევნიან და ავიწროებენ მშრომელებს და მათს პროფკავშირულ ხელმძღვანელებს. სისტემატურად აპატიმრებენ მუშებს და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. მათთვის გამოაქვთ მძიმე განაჩენები, რომლებიც ითვალისწინებენ მრავალი წლის პატიმრობას. ჰაიდარაბადის მთავრობის ეს მოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ ჩაახშოს სამთავროს ტერიტორიაზე პროფკავშირული და მუშათა მოძრაობა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ ოფიციალურად განუცხადა ინდოეთისა და ჰაიდარაბადის მთავრობას, რომ გლეხური ორგანიზაციების 30 ხელმძღვანელისათვის გამოტანილი განაჩენი დემოკრატიულ თავისუფლებათა აღმაშფოთებელი დარღვევის ახალ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოითხოვს, რომ გლეხური ორგანიზაციების 30 ხელმძღვანელის სიკვდილით დასჯა გაუქმდეს და მსჯავრდადებულნი განთავისუფლებულ იქნან.

ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ბირჟებზე დაეცა გირვანქა სტერლინგის კურსი

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესა იუწყება, რომ მიუხედავად გირვანქა სტერლინგის დევალვაციისა, რაც ამას წინათ მოხდა, ინგლისი კვლავ სერიოზულ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. მაგალითად, გირვანქა სტერლინგი ამჟამად ნიუ-იორკის და შეერთებული შტატების სხვა ქალაქების „თავისუფალ ბაზრებზე“ ოფიციალურ კურსზე დაახლოებით 12 პროცენტით იაფად იყიდება. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ ამჟამად გირვანქა სტერლინგი ნიუ-იორკში იყიდება მხოლოდ ორ დოლარ და 58 ცენტიდან ორ დოლარ და 62 ცენტამდე.

გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ ასეთსავე ცნობას აქვეყნებს და აცხადებს, რომ გასულ კვირას ზოგიერთი ბირჟის მოსაქმე ნიუ-იორკში ინგლისურ გირვანქას სულ რაღაც ორ დოლარ და 51 ცენტად იძლეოდა. გაზეთის სიტყვით, ბირჟის მოსაქმეები წინასწარმეტყველებენ, რომ გირვანქა სტერლინგის ფასი კვლავ დაიკლებს.

პარიზიდან მიღებულ და იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ გირვანქა სტერლინგის ფასმა დაიკლო აგრეთვე პარიზის და ევროპის სხვა სავალუტო ბაზრებზე. გაზეთი წერს: „კონტინენტალურ ევროპას ინგლისური გირვანქა კვლავ „ავადმყოფად“ მიაჩნია, მიუხედავად კრიპსის მიერ გაკეთებული სასტიკი ქირურგიული ოპერაციისა“.

ინდოეთის პრეზიდენტის არჩევნების წინ

ჰერტა კუუსინენის განცხადება

ჰელსინკი, 18 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „ტიუეკანსან სანომატმა“ გამოაქვეყნა ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის სეიმის ფრაქციის თავმჯდომარის ჰერტა კუუსინენის განცხადება ფინეთის პრეზიდენტის მომავალი არჩევნების შესახებ.

კუუსინენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტის მომავალ არჩევნებს, რომელშიც დიდი ხნის შემდეგ პირველად იღებს მონაწილეობას ფინეთის კომუნისტური პარტია, დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ფინეთისათვის. ყველა პარტიას, თქვა კუუსინენმა, შეგნებული აქვს, რომ ფინეთის პოლიტიკის მიმართულების საკითხი ამ არჩევნებში გადაწყდება. თუ ბურჟუაზია და მასთან გაერთიანებული მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, აღნიშნა კუუსინენმა, ლაპარაკობენ იმ პოლიტიკის განგრძობის შესახებ, რომელსაც ფინელი მშრომელები სიღატაკის, უმუშევრობისა და ეკონომიური კრიზისისაკენ მიჰყავს, ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირი მტკიცედ მოითხოვს, რომ ძირფესვიანად შეიცვალოს მთავრობის იხლანდელი კურსი. ფინელ ხალხს ვერავინ აიძულებს ხელი შეუწყოს ახლანდელი პრომაფრიკული პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ ჩვენი ქვეყანა გადაიქცეს ომის გამჩაღებელთა პლაცდარმად, მიმართულია ეკონომიური კრიზისის გაძლიერებისა და მშრომელთა გაღატაკებისაკენ.

კუუსინენმა აღნიშნა, რომ ამჟამად მთელ მსოფლიოში მტკიცდება სოციალიზმის საქმე. პრეზიდენტის არჩევნები, თქვა მან, ხელს შეუწყობს იმას, რომ ფინეთიც სოციალიზმის გზას დაადგება, მაგრამ ამჟამად ძირითადია სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელება და ნამდვილად დემოკრატიული წყობილების დამყარება. პრეზიდენტს, რომელსაც ამ მხრივ დიდი უფლებები აქვს, შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაზე. ამიტომ ყველა ფინელმა მუშამ იმას უნდა შეუწყოს ხელი, რომ პრეზიდენტად არჩეულ იქნას მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრე ადამიანი.

საფრანგეთის რეაქცია კვლავ სდევნის პროგრესულ ფრანგ მეცნიერს ჟოლიო-კიურის

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკდესი). პარიზის რეაქციული პრესა კვლავ სდევნის ცნობილ ფრანგ მეცნიერს პროფესორ ფრედერიკ ჟოლიო-კიურის.

პრესის დეგოლური ორგანოები — გაზეთები „რასამბლეანი“ და „სე მატენ-ლე პეი“, უაღრესად მემარჯვენე გაზეთი „ეპოკი“ და სხვა მათი მსგავსნი მოითხოვენ, რომ ფრედერიკ ჟოლიო-კიური გადააყენონ ატომის ენერგიის საკითხთა უმაღლესი კომისრის პოსტიდან.

ეროვნული კრების დეპუტატმა უაღრესად მემარჯვენე პარტიის — „თავისუფლების რესპუბლიკური პარტიისაგან“ ჟან ლეჟანრმა ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ ბიდოს სპეციალური შეკითხვითაც კი მიმართა.

მთელი ეს ირონტრიალი იმასთან დაკავშირებით ატყდა, რომ ამას წინათ ჟოლიო-კიური საბჭოთა კავშირში გაემგზავრა, როგორც საფრანგეთის მშრომელთა დელეგაციის მეთაური.

დამთავრდა დუნაის კომისიის სესია

ბუქარესტი, 18 ნოემბერი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა დუნაის კომისიის პირველმა სესიამ.

კომისიის თავმჯდომარედ სამი წლის ვადით არჩეულია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ტ. რუდენკო, ვიცე-თავმჯდომარედ — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ლ. ლინგარტი, კომისიის მდივნად — სსრ კავშირის წარმომადგენელი გ. მოროზოვი. მიღებულია დუნაის კომისიის სამდივნოს და სამსახურთა მუშაობის წესი, ორგანიზაციული სტატუტი, აგრეთვე განსაზღვრულია საავანსო ანარიცხის თანხები, რომლებიც უნდა შეიტანონ დუნაის კომისიის მონაწილე ქვეყნებმა, სანამ განსაზღვრული იქნებოდეს კომისიის ბიუჯეტი.

თერთმეტი წლის ბიჭს 46 წლის კაჭოჩლა მიუსაჯეს

დელი, 18 ნოემბერი. (